

# საპრესბიელო

საორტული გაზეთი

პარასკევი 2 აპრილი 2004 №73 (2092)

ფასი 50 თეთრი


საქართველო  
თბილისი

## ჩვენ ბევრი ამხანაგური უნდა ვითამაშოთ!

რატომ გვეცინება მწარედ ჟირესის ამ სიტყვებზე? იმიტომ, რომ ბევრი ამხანაგური თამაში გვახსოვს

ვფიქრობ, შესარჩევი მატჩებისას საქართველოს ნაკრები საშუალო ევროპული დონისა იქნება. შესაძლოა, დონე საშუალოზე მაღალიც იყოს

ინტერვიუ ალენ ჟირესთან იხილეთ მეორე გვერდზე




გადრი კატილაძის ფოტო

### თბილისური ძველებური კატაბორი A

ქართულ ძიუდოში და სპორტის სასახლეში დიდი ფუსფუსია. ამ უქმეებზე ერთიცა და მეორეც „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს და სტუმარიც ლამის ყველა კონტინენტიდან გვეყოლება, ვინდლო აფრიკიდანაც კი. თბილისური ტატამი ბოლოსწინა ათენის ოლიმპიადამდე, ასე რომ, ვისაც კი გული ერჩის და მკლავში ძალა მოსდევს, მაგრამ აქამდე სხვებს უჯობნიათ და ოლიმპიური ლიცენზია აურთმევიათ, ყველას თბილისში ვიხილავთ 3 და 4 აპრილს. ბრძოლებიც, იცოცხლეთ, თქვენი მონონებული გახურდება და ტრიბუნებიც, ალბათ, შეივსება, მით უმეტეს, რომ ძიუდოს ფედერაციას შესვლაზე ფასი არ დაუდია.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



გადრი კატილაძის ფოტო



გადრი კატილაძის ფოტო



# ალენ ჟირესი: ვითააშაბო ბეჰრს, ვათააშაბო ბეჰრს

საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესს წარმატებული დებიუტი ჰქონდაო, არ ითქმის, თუმცა გერმანელ ახალგაზრდებთან სამშაბათის მატჩის შედეგი ცუდიც არ ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენებმა შესუსტებული, თანაც 14-კაციანი შემადგენლობა ჩაიყვანეს მანჰაიმში, თუ გავითვალისწინებთ ასაკის მიუხედავად მეტოქის კლასს და ყბადაღებულ პირველი გოლის ფაქტორს, გერმანელებთან ფრეს, არა გვგონია, ქომაგი უკმაყოფილო დაეტოვებინოს



ალენ ჟირესი

ჩვენების თამაშის ხარისხზე კი ვერაფერს გეტყვით, არ გვინახავს და იმიტომ. მწახველთა თქმით, უპირატესობა მასპინძლებისა ყოფილა, თუმცა ხანდახან სტუმრებსაც არა უშავდათ, რისი დასტურიც ორი გოლია. რას ფიქრობს ამ მატჩზე თავად ალენ ჟირესი? რას აპირებს? რა დაანახა ჟირესს გერმანელებთან თამაში, რისი იმედი გვქონდეს? ამ და სხვა კითხვებზე მწვრთნელზე უკეთ ვინ გვიპასუხებდა. პოდა, ალენ ჟირესს ტულუზში დაუკავშირდით. ის ახალდაბრუნებული იყო ზაგრებიდან, სადაც საქართველოს

მომავალი მეტოქე თურქეთი ხორვატებთან მატჩში დაზვერა. — რას იტყვით, კმაყოფილი ხართ გერმანელებთან მატჩით? — ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ. საკმაოდ საინტერესო, დაძაბული თამაში გამოვიდა. ჩემი შეფასება ასეთია — საქართველომ ნორმალურად ითამაშა, თუმცა სამუშაოც ძალიან ბევრია. ეს მე არ მაშინებს, საქართველოში სწორედ სამუშაოდ ჩამოვედი. — რასაც ელოდით, ისეთი ნაკრები ნახეთ მანჰაიმში?

— ამაზე მეტს არც ველოდი. ჩვენ ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა. სასურველი შემადგენლობის შეკრება ვერ მოვახერხე, ვინც ვნახე, მათ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ ესეცაა — რამდენიმე ფეხბურთელს შესაბამისი ფიზიკური, ტექნიკური-ტაქტიკური მომზადება აკლია. მსურს, ოფიციალურ მატჩებამდე ყველა ლეგიონერი ვნახო საქმეში. შესაძლოა, ეს ერთბაშად არ მოხდეს, ერთ თამაშზე ერთი მოვიწვიო, მეორე მატჩისას — მეორე, მთავარია, რომ მათი შესაძლებლობები გავიგო.

## სახსრობრად რატისგან

„ჩელსიდან“ „დინამოში“ დაბრუნებული რატი ალექსიძე ჩვეულად ლაღად და გაცილებით აგრესიულად ათამაშდა და ესენგეს თახზე ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. „როსტოვში“ ის ყოველგვარი სინჯების გარეშე გადაიბირეს და შეკრებაზე კლუბის ბომბარდირიც გახდა, თუმცა რუსეთის პრემიერლიგაში თავის გამოჩენის მანსი ჯერაც არ მისცემია. მიუხედავად ამისა, ჟირესის ნაკრებში თამაში რატიმ გოლით აღნიშნა. არადა, მოედანზე სულ 10 წუთის შესული იყო...



რაზან გერმანელები ისევ ახლო კუთხეში ელოდნენ, შორეულში ჩაეწოდებინა. ვიტალიმ ბურთი თავისებურად დაატრიალა, მეც ჯერ წინ წავედი, თითქოს ისევ ახლო კუთხისკენ მივდიოდი, მცველი ამ მოძრაობას აპყვავა, მე კი ბურთს შორეულ კუთხეში დავხვდი, მცველს საჰაერო ბრძოლა მოუვუგა და მე-კარეს ახლო ცხრიანში გავუტანე. — ჟირესმა ჩამოსვლისთანავე თქვა, რომ ქართველები ნელ ფეხბურთს ვთამაშობთ. ალბათ, უფრო აგრესიული თამაში მოგთხოვიათ... — გვითხრა, რომ სამკუთხედებით ანუ სწრაფი პასებით გადავსულიყავით მეტოქის საჯარიმოსკენ. ბურთი უფრო მეტად ჩვენ უნდა გვექონდეს, რათა იმათ გვდიონო. — გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები უპირატესობას რომ ფლობდა, ამას რით ახსნი? — მაგარი გუნდია! ძალიან მოძრაი, სწორი და აზრიანი ფეხბურთი ითამაშეს. კიდევ კარგი, რომ

ფლანგებზე ჩვენც მოძრაი ფეხბურთელები გვყავდა... ძალიან მომეწონნენ შვანისტაიგერი, ჰანკე და ტიფერტი. მათ ახლაც შეუძლიათ გერმანიის პირველ ნაკრებში თამაში. — გერმანელები იუწყებოდნენ, რომ მატჩს ქართველი გულშემატკივრებიც ესწრებოდნენ... — კარგი სანახავეები იყვნენ. ერთ კუთხეში შეკრებილიყვნენ და მთელი მატჩი არ გაჩერებულან. გამიკვირდა, ამდენი ქართული დროშა სად იშოვეს, თან ყველას სახეზე საქართველოს დროშა ეხატა. შესვენებაზე მოთელვა მათ წინ მიმიწია, როდესაც მანიშნეს, რომ უნდა მეთამაშა, გულშემატკივრები ბადეს მოაწყდნენ და მიყვიროდნენ, რატი, გოლი გაიტანეო. რომ გავიტანე, მათკენ გავიქეცი, ეს გოლი პირველ რიგში მათ ეკუთვნოდათ. — „როსტოვში“ როგორ შეხვდნენ შენს შედეგიან თამაშს? — გაეხარდათ, მილოცავდნენ. მე პირველ რიგში ჟირესისთვის მსურდა დამემტკიცებინა, რომ ნაკრებისთვის საჭირო კაცი ვარ, მაგრამ, მგონი, როსტოველებსაც დაუფიქრებიათ, რომ ჩემთან რაღაც ეშლებათ. შეეჩვენოც მოვიდა, მომილოცა და მითხრა, რომ იცოდა ჩემი თამაშის შესახებ. — მერე ძირითადში როდის გათამაშებს, გუნდი ხომ ისედაც ბოლო ადგილზეა... — მე სიტუაციას არ ვამწვავებ, პირიქით, ხელს ვუწყობ ყველანაირად. მომცემს შანსს და დაემატეც. ახლა თავად შეეჩვენოთ გამოუვალ მდგომარეობაში — შეკრებაზე რამდენიც მათამაშა, გავიტანე, ნაკრებში წავედი და უფროდ არც იქიდან ჩამოვსულვარ, მეტი რაღა უნდა?! **დავით მირაძე**

— კი მაგრამ, საამისოდ ამხანაგური მატჩებია საჭირო. ჯერჯერობით კი მხოლოდ მოლდოვასთანაა შეხვედრა დაგეგმილი, ისიც აგვისტოში... — ეს პრობლემა მოგვარდება. ჯერჯერობით მეტოქის ვინაობა უცნობია, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ აპრილში ერთ მატჩსაც ვითამაშებთ და აგვისტომდე კიდევ გამოვინახავთ მეტოქეებს. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე რაც შეიძლება ბევრი უნდა ვითამაშოთ. — რამდენიმე ფეხბურთელს ფიზიკურ-ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება აკლიათ, თქვით. რამდენიმეს თუ მთლიანად გუნდს? — კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენცია აქვს. ერთი თამაშით ფეხბურთელის შესაძლებლობები ბოლომდე ვერ ვაერკვევი, ამიტომაც ვამბობ, რომ მთლიანად გუნდმა ნორმალურად ითამაშა, მომავალში კი ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს ყველა იმ ფეხბურთელს მივცემ, ვინც ჩემს მოთხოვნებს მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებს. უფურადღებოდ არავინ დამჩრება. — გერმანელებთან ორი გამთამაშებელი გყავდათ — დარასელია დაჯჯამარაული. მომავალშიც ასე იქნება? — ვნახოთ, როგორც აჯობებს, ისე ვითამაშებთ. გერმანიისთან კი ამ ვარიანტის ნახვა მსურდა, თანაც დიდი არჩევანიც არ მქონდა. მე ჩემი პროგრამა მაქვს, გერმანელებთან მა-

ტჩის შემდეგ კი უფრო უკეთ ვიცი, რომელ ფეხბურთელთან რაზე უნდა ვიმუშაო. ასე, ნელ-ნელა აეწყოთ საქმე და შესარჩევ თამაშებს, ვიმედოვნებ, კარგად მომზადებულები შევხვდებით. ამხანაგური მატჩები ხომ იმისთვისაა, ნაკლი დაინახო და მის გამოსწორებას შეეცადო. მომავალ მატჩებში სხვადასხვა ვარიანტებსაც გამოვიყენებთ. — მანჰაიმური გუნდიდან სამომავლოდ ნაკრებს მიდის ბევრი ფეხბურთელი დარჩება? — ვერაფერს გეტყვით, ყველას მივცემ თავის გამოჩენის შანსს. — საქართველოს ნაკრებს საშუალოზე მაღალ ევროპულ დონემდე ბევრი უკლია? — საფრანგეთს, ინგლისს რომ გავუტოლოდეთ, იქამდე ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, საშუალო დონემდე კი, ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები შესარჩევი მატჩებისას იქნება. თუმცა ნაკრების დონე შესაძლოა საშუალოზე მაღალიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს. — და ბოლოს, თურქეთის ნაკრებზე რას გეტყვით? — მას შემდეგ რაც თურქეთი ბოლოს ვნახე, გუნდი ძალიან შეცვლილა, ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავთ. ამ სიანხლებს მიუხედავად თურქეთი საკმაოდ ძლიერი გუნდია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა — უნაკლო. მათი სისუსტე კი საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ. **კობა ინასარიძე**

## მე არა, ახალაია!

გერმანული სააგენტოების ცნობით, გიორგი ნემსაძემ 79-ე წუთზე ამისულაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. თავად ალექსი კი ეს ცნობა უარყო და თერთმეტმეტრიანი ყოფილ თანაგუნდელს, ლადო ახალაიას გააღაულოცა. — ყველა მეკითხება, პენალტი როგორ დაიმსახურეო... როგორც ჩანს, გერმანელებს შეეშალათ, მე კი არა, ახალაია წააქციეს. წესების დარღვევა ამკარა იყო. მეტოქემ ლადოს ტანი ისე ჩაუდგა, რომ მოქმედების საშუალება მოუსპო. ახალაია კი გოლის გასატანად ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდა. — თამაშს როგორ შეაფასებდი? — კარგი და სასარგებლო მატჩი გამოდგა. მომენტებით და სათამაშო უპირატესობით მასპინძლებმა გვაჯობეს. თუმცა მატჩის შემდეგ ჟირესმა ბრძოლისთვის მადლობა გადაავიხანდა და გვითხრა, კარგია, რომ არ წავაგეთო. — ჟირესის დებიუტს როგორ შეაფასებდი? — მწვრთნელის ერთი თამაშით შეფასება, რა თქმა უნდა, ძნელია, თუმცა ეტყობა, რომ პროფესიონალია და თავისი საქმე იცის. ისიც ჩანს, რომ კარგი ადამიანია. — გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებისგან ასეთ თამაშს ელოდი? — ველოდი, რადგან გერმანიამ ჩასვლისას ყველას პირზე ეკერა, რომ ამ ნაკრების ფეხბურთელები თავიანთი პოტენციალით ეროვნული გუნდის წევრებს სჯობიან. — კიევში თუ დაინტერესდნენ შენი თამაშით?



ალენ ჟირესი



# რა საიდუმლო! მუხილი ძილი, ბპერი პარჯიუი და სტაბილურობა



„ქობულეთთან“ მატჩში „ამერი“ კაპიტანი გიორგი ჩიხრაძე და ვიცეკაპიტანი გიორგი დავითიძე აკლდნენ, რამაც თამაზ კოსტავა არჩევანის წინაშე დააყენა — ვინ უნდა გაძლიერდეს გუნდს მოედანზე? მწვრთნელს არ უყოყმანია და კაპიტნის

სამკლავური ამირან კედელაშვილის ჩააბარა. კედელაშვილი „ამერის“ ყველაზე სტაბილური ფეხბურთელია. იმ 27 შეხვედრაში, რომელიც კედელაშვილმა „ამერის“ მაისურით ჩაატარა, მას მეტ-ნაკლებად თვალშისაცემი შეცდომა არ დაუშვია

საქართველოს ფეხბურთი



„ტორპედოს“ ახალთაობელ გიორგი ნერგაძეს „დინამოს“ დანახვა ფინალამდე არ უნდა

## უბელინა ნერგაძე ნაღბგოგო ბაღარბო და ქუთაისში დააბნია

მე-15 ეროვნული მეთორე ეტაპის მესამე ტური „მცხეთა“ — „ტორპედოს“ დღევანდელი მატჩით გაიხსნება. ქვედა ექვსეულის ლიდერ ქუთაისურ კლუბში კი ბოლოხანს რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა და ახლა ერთ-ერთ მათგანს წარმოგიდგინებთ. 21 წლის გიორგი ნერგაძე „ტორპედოში“ ამ სეზონში ათამაშდა და უკვე გუნდისთვის საჭირო კაცად ითვლება

— წარმოგიდგინებთ, როგორ გწყდება გული, საქართველოს სამეზობლო ჩემპიონი ქვედა ექვსეულში რომ თამაშობს...  
— მართლა ძალიან გულსატკეპნია, როცა ვხედავთ, სხვა გუნდები საპრიზო ადგილებისთვის რომ იბრძვიან, ჩვენ კი... პირველი ეტაპის ბოლო ტურში არ გავემართლა, თორემ ჩვენც ზედა ექვსეულში ვიქნებოდით. რას იხამ, წარსულს ვერ დაგაბრუნებთ.  
— ქვედა ექვსეულში კი „ტორპედო“ ერთპიროვნული ლიდერია და ალბათ მალე გაინადებს კიდევ უმაღლესი ლიგის საგზურს...  
— ჯერ ასე ვერ ვიტყვი. სანამ ოფიციალურად არ გავიფორმებთ ყველაფერს, მანამდე ბრძოლა მოგვიწევს. თუმცა არც ამის შემდეგ დავთმობთ რაიმეს „ტორპედოსთვის“ ყველა მატჩი მნიშვნელოვანია.  
— უახლოეს მდევართან შეიძლება თანაობა არ გამშვიდებს?  
— არანაირად. ჩვენთვის სულერთია, შინ ვთამაშობთ თუ გარეთ. სულ მოგება გვინდა. ისე კი, აწი რომც მოვინდომოთ, უმაღლესი ლიგის გავარდნას ვეღარ შევძლებთ.  
— ახლა „ტორპედოსთვის“ მთავარი მიზანი თასია...  
— თასი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება იქნება. სხვა გზით უფასო თასზე ვერ გავალთ.  
— კონკურენტად რომელ კლუბს თვლით?  
— ჯერ მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები არ ჩატარებულა, მაგრამ ვფიქრობ, „დინამო“, „თბილისი“ და „ვიტ ჯორჯია“ არ გავარდებიან. ჩვენც ზომიერად ნახევარფინალში ვართ. აქედან გამომდინარე, ალბათ უკეთესი იქნება, თუ „დინამო“ აგვეცდება.  
— „დინამოს“ ფინალში ისურვებ?  
— ეგრე გამოდის.  
— თუ ფინალშიც არ გინდა?  
— ეს ვარიანტი უფრო კარგია.  
— „ტორპედოში“ მისული ნებისმიერი მწვრთნელი ახალ ამბ-

ლუას ვიძებნის ხოლმე. მაინც სად არის შენი ადგილი?  
— საყრდენ ნახევარმცველად მიჩნევიან. ახლა ოთარ გაბელია სწორედ ამ ადგილზე მათამაშებს და ალბათ ვამართლებ. ისე კი, ჩემთვის სულერთია, სად ვითამაშებ. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. სადაც დაგვჭირდება, იქ დავდგები.  
— თავის დროზე ალექსანდრ შტელინმა შენზე თქვა, პერსპექტიული ბიჭია, მაგრამ ძირითადად სათამაშოდ მომზადება სჭირდებაო. როგორ გამზადდება და, საერთოდ, რას გეუბნებოდა?  
— შტელინმა „ტორპედო 2“-დან „სამეურალოში“ გამანათხვორა. მითხრა, იქ ითამაშე, მომარდი და დაგაკვირდები. მეც ნახევარი სეზონი წყალტუბოში ვითამაშე, გოლებიც გავიტანე და მგონი, მოვეწონე კიდევ. შტელინი თითქმის ყველა თამაშზე გვესწრებოდა ან თავის თანამშემწე სოსო ფრუიძეს აგზავნიდა. ამის მერე გადავედი „ტორპედოში“, მაგრამ ძირითადად ამ სეზონიდან ვთამაშობ.  
— ანუ ეს სეზონი შენთვის წარმატებულია?  
— რა ვიცი, ჩემი თავით კმაყოფილი არასოდეს ვარ, მაგრამ დებიუტის კვალობაზე ალბათ ნორმალური სეზონი მაქვს.  
— „ტორპედოს“ პროკურატურა ედავება. ფეხბურთელებს ხომ არ გიგრძნიათ რამე?  
— ვერაფერს ვეუბნები. ჩვენამდე ასეთი ინფორმაცია სრულად არ მოდის. ვნახოთ, რა იქნება. მეტის თქმა არ შემიძლია.  
— ერთიც: თამაშისას მარჯვენა სახელის ბეჭამდე იწევ. ეს ჩვევა თუ ვინმეს ბაძა?  
— ადრე მართლაც მქონდა ასეთი ჩვევა. ახლა თანდათან გადავეჩვიე. ეტყობა, კარგად მქონდა და ცდილი და მერე დავვიწყე. ისე, ზოგჯერ ახლაც მახსიათებს უცნაურობები.

აკახა ზალაგბერიძე

— ქობულეთში მოსაგები თამაში წააგეთ. როგორ ახსნი ამას?  
— თამაშის მერე გავიხსენებ ვიფიქრობ. 70-ე წუთამდე მასპინძლებს, ფაქტობრივად, მომენტი არ ჰქონიათ, ჩვენ კი რამდენიმე უნაღდესი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მერე კი ხუთ წუთში სამი გოლი გავუშვით. რუსიას გოლის მერე ბურთის დაძვრა ვერ შევძელით.  
— ახლა „ამერი“ ცხრილის შუაშია. როგორ ფიქრობ, უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის ბრძოლა შეიძლება?  
— იმის გათვალისწინებით, რომ ცხრილში დიდი სიმჭიდროვეა, ყოველმა მარცხმა და მოგება ნებისმიერი გუნდი შეიძლება რამდენიმე საფეხურით ასწიოს ან დააქვეითოს. ამიტომ დარწმუნებული ვარ, კიდევ ძალიან ბევრი რამ შეეცვლება. თუნდაც ჩვენი მაგალითი გავიხსენოთ — 12 ტურის მერე მეცამეტე ადგილზე ვიყავით, სამ ტურში კი მეხუთეზე ავედით.  
— მაგრამ „ამერმა“ სტაბილურად მოგება თუ არ დაიწყო, მარტო სხვა გუნდების დაკარგული ქულების იმედზე ვერ იქნებით...  
— რა თქმა უნდა, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, პირველი წრე როგორ დავიწყეთ, ოთხი ტურის მერე სამი წაგება გვექონდა და მერე ავთამაშდით. დარწმუნებული ვარ, მეორე წრეშიც სასტარტო ჩავარდნას მალე დავეძღვით.  
— ამისთვის რა არის საჭირო?  
— საგოლე მომენტები უკეთესად უნდა გამოვიყენოთ. იგივე „ქობულეთთან“ ხუთი უნაღდესი მომენტი გავაფუჭეთ, მათ შორის პენალტიც. რა თქმა უნდა, როცა ამდენ მომენტს აფუჭებ, ცოტა უიღბლობის ბრალიც არის, მაგრამ ყველაფრის იღბალზე გადაარალებაც არ შეიძლება როგორც ამბობენ, ძლიერებს უმართლებთ.  
— იმის გარდა, რომ დაცვაში საიმედოდ თამაშობ, შეტევაშიც ხშირად ერთვები ხოლმე და სახიფათოდაც...  
— ბავშვობიდან მცველი ვიყავი, მაგრამ ერთი ხანობა, ფოთში და რუსთაველში, ნახევარდაცვაში მათამაშებდნენ და ამიტომ შეტევაში ჩართვა ჩემთვის უცხო არ არის.  
— რუსთაველი ხარ და კარიერის მეტი წილი იქ თამაშობდი. როცა პირველ წრეში „გორდას“ „ფოლადზე“ ეთამაშეთ, მოედანზე რაიმე განსაკუთრებული გრძობით ხომ არ გასულხარ?  
— არანაირი განსაკუთრებული გრძობა არ მქონია, მოედანზე ამაზე ფიქრის დრო არ არის.  
— მაგრამ მოედანზე გასვლამდე ვთქვით, წინა დღეს?  
— რომ გითხრა, ღამე არ მეძინა-მეთქი, ტყუილი იქნება.  
— ბოლოს შენი ასეთი სტაბილური თამაშის საიდუმლოც გავვიძიებო...  
— რა საიდუმლო ეგ არის, ბევრი ვარჯიში და გამოცდილება...

www.fcameri.ge



საქართველოს ფეხბურთი

საპარტიზოლო 15 რაიონობა

მეორე 3 ტურში

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. ლოკომოტივი

მცხეთა — გორაკადო

მსაჯები: ლ. ფანაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. მემკვიცი (თბილისი); ს. ჯორჯია (ს. კუტივაძე)

საპარტიზოლო 15 რაიონობა

მეორე 19 ტურში

ოლიმპი 1:3 დინამო 2	ქობულეთი 19 12 1 6 35:19 37
სამგურალი 0:0 გურია	სამგურალი 19 10 5 4 25:12 35
მილანი 4:0 ივერია	ოლიმპი 19 10 5 4 28:17 35
რუსთავი 2:0 სხინავალი	რუსთავი 19 10 3 6 27:20 33
რუსთავი 2:0 სხინავალი	ცხინვალი 19 9 5 5 30:16 32
რუსთავი 2:0 სხინავალი	დინამო 2 19 9 4 6 39:25 31
რუსთავი 2:0 სხინავალი	მილანი 19 9 4 6 22:14 31
რუსთავი 2:0 სხინავალი	ვიტ ჯორჯია-მცხ. 19 7 8 4 20:11 29
რუსთავი 2:0 სხინავალი	ჩიხურა 18 8 2 8 21:19 26
რუსთავი 2:0 სხინავალი	ამერი 18 7 5 6 21:17 26
რუსთავი 2:0 სხინავალი	თსუ 18 7 4 7 30:19 25
რუსთავი 2:0 სხინავალი	ივერია 19 6 5 8 13:27 23
რუსთავი 2:0 სხინავალი	გურია 19 6 4 9 22:28 22
რუსთავი 2:0 სხინავალი	ლოკომოტივი 2 19 6 1 12 14:36 19
რუსთავი 2:0 სხინავალი	ლუკა 18 4 1 13 14:36 13
რუსთავი 2:0 სხინავალი	მეტალურგი 19 1 1 17 9:54 4

საფეხბურთო კლუბ „გორდას“ მეორე წრიდან „რუსთავი“ უწოდებს

**ფეხბურთი**

გორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

**პირველი ლიგა**

**2 აპრილი**

მეცხრამეტე ტური


**ამერი — თსუ**

თბილისი თბილისი

დასაწყისი 16 საათზე. დასრულება უფასოა



2006 წლის მსოფლიოს ჩაპიონატის II უმჯობესი ჯგუფი  
ჩვენი მეტოქეები



REUTERS ზაგრაბიძე

ხორვატები და თურქები... ომიც იყო და მშვიდობაც — 2:2

# თურქეთი განცხადდა ახლებამ კარგად დაგაგმოს

## თურქეთი

**თურქეთი** დროებითა მწვრთნელმა, „შაბუღა“ უნალ კარამანმა პირველი ოფიციალური მატჩში ფრე მონაგრა.

ოსმლოები ზაგრებს გადახალი-სებული გუნდით ეწვივნენ. ძირითად შემადგენლობაში 2002 წლის ბრინჯაოსანთაგან მხოლოდ სამი ფეხბურთელი იყო.

ხორვატებს წინა საშინაო შეხვედრა თებერვალში გერმანიასთან წაგოთ და მეტოქეს გამეტებით შეუტიეს. თურქთა შეუთამაშებელი დაცვის ხაზი მალე გაირღვა.

უმით ოზათმა საჯარიმოდან თავით სცადა ბურთის გატანა, რომელიც დალო პრსოს ერგო. მონაკოელმა შოკოტას მაწოდა. სტუმარ მცველებს თამაშარე მდგომარეობა ეთანო, შოკოტამ კი ანგარიში გახსნა.

ოსმლოებს გასათანაბრებლად ორი კარგი მომენტი ჰქონდათ. ფე-

ხორვატებმა თუნჯაიმ ორივე გაანია.

შესვენების შემდეგ უნალ კარამანმა სამი ფეხბურთელი შეცვალა და გუნდმა შეტევაში თამაში ააწყო, მაგრამ ჰაკან შუქურმა მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა.

თურქთა იერიშებს მიზანგასწორებული ფორვარდი სჭირდებოდა და იგი ნ-ე წუთზე გამოჩნდა. თუნჯაის ნაკვალავს შესულმა დებიუტანტმა ზაფერ ბირიოლმა ძელიდან დაბრუნებულ ბურთს მიუსწრო და გაათანაბრა.

მასპინძლები სრინას მიერ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით კვლავ დაწინაურდნენ, მაგრამ სტუმართა ახალწვეულები ძალიან მონდომებულნი იყვნენ და მატჩის მიწურულს მეორედაც გაქვიეთეს. ზაფერმა ჩაღდაშს თავით დაუვლო ბურთი და დენიზლელმა პირველი სანაკრებო გოლით თურქეთი მარცხისგან იხსნა.

გაბა ხუციშვილი

# გაბა ფეხით არა!

## ღანია

**მსაპანეთი** ყველაზე უხერხული მეტოქეა დანიელთათვის და ეს რომ ასეა, გუშინწინდელმა საამხანაგო მატჩმა დაადასტურა. ხიზონში დანიელები ისევე დამარცხდნენ, თუმცა ანგარიშმა არ მოგატყუოთ — მორტენ ოლსენის გუნდს წასაგები არაფერი სჭირდა. ესპანელებმა რაც შექმნეს, გოლად აქციეს, ვიკინგებმა კი დიდი უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

ყველა ერთად მარცხენა ფეხზე როგორ ავდექით დღესო, უკმაყოფილო იყო ნამატჩევის მიღებული იონ დაღ ტომასონი და ჰქონდა კიდევ ამის თქმის საბაბი, რადგან მან და მისმა თანაგუნდელებმა არაერთი საგოლე შანსი გაანიავეს.

მორტენ ოლსენს შემტევი ებე სანდი აკლდა, უკან ხაზშიც რამდენიმე პრობლემა ჰქონდა და ექსპერიმენტული შემადგენლობა ექსპერიმენტული მონახაზით ათამაშა — დანიელთა განაპირა მცველები ინტენსიურად ერთვებოდნენ შეტევებში და ესპანელები დასაწყისიდანვე აიჭრნენ. მეოცე წუთმდე ვიკინგებმა სამი რეალური საგოლე შანსი გაფლანგეს. ჯერ ტომასონმა ვერ ივარგა, მე-10 წუთზე ათი-

ოლე მეტრიდან პეტერ მადსენს აულო მეკარემ, მალე კი მარტინ ოორგენსენს გაუცუდდა დარტყმა.

სტუმართა შეტევების ორგანიზატორი ევერტონელი ტომას გრავესენი გახლდათ და მოვალეობას კარგად ასრულებდა, თუმცა დანიელები დამავირგინებულ ფაზაში სკოდავდნენ და ამასობაში მორიენტესმა კაპდევილას ფლანგური ჩაწოდებისას თავით ანგარიში გახსნა.

ოლსენის ბიჭებმა გოლის შემდეგ უფრო მონდომებით შეუტიეს პირინელებს და ღამის გაქვიეთეს კიდევ — ჯერ მადსენს სასწაულებრივ აულო თაუთური მეკარემ, მერე კი გრავესენის საჯარიმოდან გსროლილი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში დანიელთა გიჟურ ტემპს ესპანელებმა ადლო აუდეს და რაულმა მეორე გოლი შეაგლო, თუმცა მატჩი დანიელთა საგონობით სათამაშო უპირატესობით გასრულდა.

ჩვენ წაგავით, მაგრამ ექსპერიმენტი უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ევ არის, არ გავევიმართლა, ესპანეთმა კი შანსი სრულად გამოიყენა. ვფიქრობ, სხვა დროს იბბალი ჩვენც გვექნება. ამ გუნდით შესაძლებელია ევროპის ჩემპიონატზე წარმატების მიღწევა — თქვა ნამატჩევის დანიელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა.

გაბა ხუციშვილი

# მომღერალი, ღერეთაბის ადგილი ოლიგოზა

## საბერძნეთი

**პირ ვიტყვი**, რომ შვეიცარიის ნაკრებთან საბერძნეთმა თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, თუმცა მას მერე, რაც ნაკრებს გერმანიელი ოტო რეჰაგელი ჩაუდგა სათავეში, ნაკრებისგან მხოლოდ გამარჯვებასა და ფეიერვერკულ თამაშს მოვითხოვთ. თუმცა ერთი უდავოა, საბერძნეთის ნაკრებმა ამჯერადც გამართული, თანამედროვე ევროპული ფეხბურთი ითამაშა.


დიდი ხანია, შვეიცარიის ნაკრები ევროპაში ანგარიშგასაწვე გუნდად ჩამოყალიბდა და, ბუნებრივია, მისი დამარცხება აქტივშია შესატანი. ევრო 2004-ისთვის ჩვენმა ნაკრებმა საკმაოდ სასარგებლო სპარინგ-მატჩი გამართა, მთავარ მოქმედ პირად კი კვლავინდებურად ოტო რეჰაგელი იქცა. მას ჯერ ტრიბუნებმა უმღერეს უკვე ტრადიციული, ვერეთ წოდებული ოტოს ჰიმნი, ხოლო შემდეგ მან შვეიცარიასთან განვლილ მატჩზეც ისაუბრა:

„ვიცილო, რომ შვეიცარიასთან ძნელი თამაში გველოდა, ამიტომ ბიჭები პირველიდან ბოლო წუთებამდე საბრძოლოდ განვაწყვე. შვეიცარიის შერჩევა ერთმა ვარემოებამაც განაპირობა, ამ გუნდის სა-

თამაშო მანერა ჰგავს იმ ნაკრებებისას, რომლებიც ევრო 2004-ზე ჩვენს ჯგუფში არიან. ჩემი ბიჭებიდან მსურს გამოვარჩიო დელასი, რომელმაც დაუღალავად იმუშავა. აგრეთვე ცარტასი, თუმცა მან შვეიცარიასთან თავის შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშა. ცალკე თემაა დემის ნიკოლაიდისი. მან გოლშიც უდიდესი წილი დაიდო და შეუჩერებელიც იყო.

ევრო 2004-ზე ჩვენი ნაკრების შანსები? 15-მატჩიანი წაუგებელი სერია მადას ნებისმიერ გულშემატკივარს აღუძრავდა, თუმცა მიმართა, რომ უფრო რეალისტები უნდა ვიყოთ. ევრო 2004-ზე რეალურად ჩვენზე ძლიერი 5-6 ნაკრები იქნება. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ საბერძნეთის ნაკრებს შეუძლია როგორც ფურორის მოხდენა, ასევე სრულიად მოულოდნელად დაბნევა და საკუთარი ხელწერის დაკარგვა“.

რაც შეეხება მატჩს: მთლიანობაში საბერძნეთის ნაკრების უპირატესობა ეჭვგარეშე იყო. შვეიცარიელთა ორივე გოლკიპერი, შტილიც და ცებერბიულერიც, სასწაულებს სჩადიოდა. ჩვენი ნაკრების უპირატესობა განსაკუთრებით ცენტრში იყო თვალმისაცემი. ახლაც შეიძლება ითქვას, რომ ცარტასი, ნიკოლაიდისი და დელასი სა-



ბერძნეთის ნაკრების საკვანძო ფეხბურთელები არიან და მათ ევრო 2004-ზე გამგზავრება ფაქტობრივად გარანტირებული აქვთ, რასაც ნაკრების დანარჩენ ფეხბურთელებზე ვერ ვიტყვი. ეს პრესკონფერენციაზე რეჰაგელმაც დაადასტურა: „ჩვენს თამაშს თავისი დადი წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებმაც დაასვა. მე ახლა სისტემატურად ვაკვირდები იმ ფეხბურთელებს, რომლებიც შეიძლება ჩემი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ. ახლა საბერძნეთიდან არსად წასვლას არ ვაპირებ და შიდა ჩემპიონატის მატჩებს უფრო მეტი ყურადღებით დავაკვირდები“.

დღეს საბერძნეთში საპრეზიდენტო არჩევნები რომ ტარდებოდეს, ოტო რეჰაგელი ალბათ უპრობლემოდ გაიმარჯვებდა, მის პოპულარობას საბერძნეთში ძნელად თუ შეედრება რამე. ფანების სიმღერის ერთი კუპლეტი ხომ ასე სრულდება — ოტო, შენ ღმერთი ხარ, შენი ადგილი ოლიმპოზა...  
ბერძნული „ეთნოსსპორტის“ და „სუბერსპორტის“ მიხედვით


# მამა რა დონეა?! ბლია-ბლია ბლოხინს

## უკრაინა

**მტარს** არ ვუსურვებთ ოლეგ ბლოხინის დღეში ყოფნას. სკოპიეში გუშინწინდელი მარცხის შემდეგ მიწასთან გაასწორეს უკრაინელთა თავკაცი. ბლოხინმა ურნალისტების თავისთავად და გულშემატკივრების დიდი რისხვაც დაიტეხა თავს. უკრაინულ ინტერნეტსაიტებზე ბლოხინს დედას ავიწებენ და მის გადადგომას მოითხოვენ. ცხადია, ურნალისტების რეაქცია, გაცილებით კორექტულია, თუმცა მათ შეფასებამაც კრიტიკის დიდი ქარცეცხლი ტრიალებს.

ნაკრების სათავეში მოსულმა ბლოხინმა მოგების გემო არ იცის და იმედი გვაქვს, არც ეცოდინება, რადგან დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს — ამბობენ კიველი მედიელები.

ბლოხინს მართლაც უსახური გუნდი ჰყავდა სკოპიეში ჩაყვანილი. ლურჯ-ყვითლები უსისტემოდ მოქმედებდნენ მთელი პირველი ტაიმის მანძილზე და ეს მოქმედებაც იმაში გამოიხატებოდა, როგორმე ბურთი გაერიდებინათ საკუთარი საჯარიმოდან. მცველებმა იმდენჯერ შესცოდეს, მეკარე შოკოვსკის სიქე გააცალეს. მაკედონიელები მიჯრით



ანდრეი შევჩენკოს სამშობლოში ტრაგემა ვერ გაუგეს

ხვრეტდნენ შოკოვსკის და რომ არა მეკარის თავდადება, ერთ გოლზე მეტით ვავილოდნენ შესვენებაზე. შესვენებამდე ჩვენს მომავალ მეტოქეს ერთადერთი საგოლე შანსი ჰქონდა — შევჩენკომ მეკარესთან პირისპირ დასვა ნახარენკო, მაგრამ „დნიპროს“ ნახევარმცველმა რეალური მომენტი გააცუდა.

ტაიმის ბოლოს შევჩენკოს ტური გაუხეთქეს. მოგვიანებით ითქვა, მიღანელ ვარსკვლავს ორი კბილიც უყანყალებსო. ამ ეპიზოდისას გაღიზიანებულმა „შევჩ“ გასისხლიანებული მაისურა გაიხადა და მოვლანზე ადარც შემობრუნებულა... კაცი გვეგონა, ეს რა ჩაიდინა, სად არის მისი პატრიოტიზმი? — გულშემატკივართა ასეთი რეაქცია მოჰყვა შევჩენკოს საქციელს.

არა გვეგონია, უკრაინელებმა ეს მარცხი აპატიონ ბლოხინს. მათი

ნაკრები იმ მაკედონიასთან დამარცხდა, რომელიც ევროშესარჩევის ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა და გუშინწინ განახევრებული შემადგენლობით თამაშობდა.

„პირველი ტაიმი ჩავაგდეთ, მაგრამ მეორე ნახევარში არა გვიშავდა. გოლი უწყინარ სიტუაციაში გაუშვით. სამწუხაროდ, თამაში ვერ გააგრძელა შევჩენკომ. მასთან შეთანხმებული ვიყავი, რომ მხოლოდ ერთ ტაიმს ითამაშებდა, მაგრამ ვაგებდით და შევჩენკოს შეცვლას არ ვაპირებდი. ვფიქრობ, მას შეეძლო თამაშის გაგრძელება. მარცხი საწყინია, მაგრამ არა ტრაგიკული. ზაფხულში შეკრული, დაბალანსებული გუნდი გვეყოლება“ — ეს თქვა ოლეგ ბლოხინმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, საკითხავი კი ის არის, აცლიან ზაფხულამდე?

გაბა ხუციშვილი

# პენეგმა ყაზახეთი დაიფუფუნა

## ყაზახეთი

**ბულგარელმა** დიმიტარ პენეგმა განაცხადა, რომ მას ყაზახეთის ნაკრების თავკაცობა შესთავაზეს, მაგრამ იუარა.

მე-20 საუკუნის ბულგარეთის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებუ-

ლი პენევი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ადმინისტრაციაში მუშაობს და აზიაში გადაბარება არ ისურვა.

„მე ნამდვილად დამიკავშირდნენ ყაზახეთიდან, მაგრამ ამჟამად სამშობლოს დატოვება არ მსურს, რადგან თავზესაყრელად მაქვს სა-

ქმე. ყოველ შემთხვევაში, ზაფხულამდე უცხო ქვეყანაში წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწვრთნელობა დავასრული. ჯერ კიდევ მაქვს ამბიციი. ევროპის ჩემპიონატამდე მაცალონ და მერე მოვიფიქრებ“ — თქვა ბულგარელმა.

გაბა ხუციშვილი



# აფხაზთა ბურთი მატჩებში

## კურანიო ყელი გოლით ჩაისველა

**გერმანია 3:0 ბელგია**  
 1:0 კურანი (45), 2:0 პამანი (55), 3:0 ბალაკი (81)  
**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, ვიორნი, ნოვოტნი, ლამი, პამანი, ფრინგი (ერნსტი 62), შნაიდერი (ნოვილი 62), ბალაკი (რანი 84), ფრაიერი (იერემისი 71), კურანი (ბობიჩი 78)  
**ბელგია:** ერპოული (ლემენსი 60), დეფლანდრე (დე ვოკი 71), კომპანი, დეფენი, ვან დამი (დეშახტი 65), მ. მენზა (დუფერი 60), კლემანი, ბასეჯი (ბისკონტი 60), ბლონდელი (დაემსი 46), პიერონი, ბუფელი  
 მსაჯე: იან ვეგერეფი (პოლანდია) 46 143 მაყურებელი

მასპინძლებს დაწყებიდან ათ წუთში ორჯერ შეეძლოთ გატანა. ვერ ბელგია მკარამ იყოჩაღა, როცა ლალად მოთამაშე ფრინგის ძლიერად დარტყმული მოიგერია. შემდეგ ფრინგისვე გამოზომილ პასს ვიორნიმა თავი ჰკრა, მაგრამ მენზამ ბურთი კარის ზახიდან გამოაძვინა. გერმანელთა მიერ შესრულებული სტანდარტულიები ერთი-ორად სახიფათო იყო, თუმცა კევინ კურანიმ ბერნდ შნაიდერის ჩაწოდებული კუთხურებიდან ვერ იხეირა. შტუტგარტელმა ორჯერ ხელსაყრელი პოზიციიდან უთავაზა ბურთს, მაგრამ ორჯერვე ააცილა.

მბროსლავ კლოზეს ნაცვლად ნაკრებში მიწვეული პოლ ფრაიერი საკმაოდ მონდომებული გახლდათ. ერთ ეპიზოდში მცველს ბურთი თავსზემით გადაავლო და ლაზათიანდაც, მაგრამ არაზუსტად. მოგვი-

ანებით, ბელგია მკარამ მიხაველ ბალაკის დარტყმულიც უკუაგლო.

სტუმრებს ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მიეცათ კარგი შანსი. პიერონიმ ბუფელი კარიდან ათიოდ მეტრში ბურთიანად დატოვა, მაგრამ ფორვარდმა უხეიროდ დაჰკრა.

ამ გამოყენებული მომენტის შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. ფრინგსმა კუთხურიდან ჩაპ-

კიდა, ფრიდრიხმა ვერ მოახერხა დარტყმა, მაგრამ ბურთი კურანის მიუვიდა და შტუტგარტელმაც 915-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა. მეორე ტაიმის დასაწყისში გერმანელებმა საჯარიმო დარტყმის შესრულებისას ბელგიალებს კედლის დაყენება არ აცალეს და დიტიმარ ჰამანმა მეორე გაიტანა.

ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებულმა რუდი ფიოლერმა ოთხი ფეხბურთელი შეცვალა. შეცვლაზე შესული ოლივერ ნოვილის პასით მიხაველ ბალაკმა მე-16 სანაკრებო გოლი შეაგდო და გერმანიას საამმატჩო გოლი მიუთვალა.

**ვატა ხუციშვილი**



პირველი გოლი კევინ კურანის იყო

## ალარს კლა, ალარს გაგონდილება ფობთმა გერმანიას დაუმიზნა

**შოტლანდია 1:2 რუმინეთი**  
 0:1 კიუუ (37), 0:2 პანუ (50), 1:2 მაფადენი (56)  
**შოტლანდია:** გალაპერი, კენედი (კრინი 17), პრესლი, გ. კოლდუელი, ალექსანდერი, დეილი, რაე, კამერონი, მაკკანი, ს. ტომპსონი (კროუფორდი 62), კ. მილერი (მაგფადენი 51)  
**რუმინეთი:** სტელია (ლობონტი 46), სტოიკანი, რატი, იენი, კიუუ, ო. პეტრე, ჩერნატი (სოავა 62), ფ. პეტრე (მიტია 46), პანუ (დანრულესკუ 89), მუტუ, განია (კრისტია 81)  
 მსაჯე: იუნი ჰიტიანი (ფინეთი) 20 433 მაყურებელი

ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელის გარეშე მოთამაშე შოტლანდიელები დამარცხდნენ. ეს უკვე ზედიზედ მესამე მარცხია ჰოლანდიასთან და უელსთან წაგების შემდეგ, მაგრამ ბერტი ფოგოს ნამატჩევს უიმედობა არ ეტყობოდა.

„კრიტიკით ვერავინ შემამინებს. ამხანაგო მატჩში წაგება ტრაგედია არ არის. გულშემატივრებს გუნდის იმედი აქვთ და მეორე ტაიმში მათ ნახეს, რომ ბიჭებს კარგად თამაში შეუძლიათ. ჩვენ ბევრად მუშაობა და სწავლა გვმართებს. მაშინ შეაფასონ ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი რომ დაიწყება. როცა ყველა საჭირო ფეხბურთელი ჯანზე გვეყოლება. მე კიდევ ორი წელი ვიქნები აქ, რადგან ოთხწლიანი გეგმა ბოლომდე მივიყვანო. ჩვენი მი-

ზანია 2006 წელს გერმანიაში თამაში“.

„სელტიკის“ ნახევარმცველ ჯონ კენედის დებიუტი უიღბლო გამოდგა. განეასთან შეჯახების შემდეგ კენედი შესაცვლელი გახდა.

ამ მომენტამდე მასპინძლებმა ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს. მაკკანის ჩაწოდებულ ბურთს ტომპსონმა ახლოდან, მაგრამ არაზუსტად უთავაზა.

მეორე რუმინელები გამოცოცხლდნენ და ორჯერ გაისროლეს გალაპერის კარისკენ. ჩერნატმა და განეამ შოტლანდიელი მკარამ თითოჯერ შეაწუხეს.

სტუმართა მესამე დარტყმა იღბლიანი გამოდგა. კრისტან კიუუ საჯარიმო შეასრულა, ბურთი კამერონს შეეხო და გენაკვალ კარში შევარდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში რუმინელებმა მეტოქის საჯარიმოსთან კოხტა კომბინაცია გაითამაშეს. პანუმ და მუტუმ პრესლი გააბითურეს და „ბეშიტაის“ ფორვარდმა გალაპერს შანსი არ დაუტოვა.

მასპინძლების თამაში მოედანზე ჯეიმს მაკფადენის გამოჩენამ უკეთესობისკენ შეცვალა. მაკფადენმა ერთი ლამაზი გოლი გაიტანა, რამდენიმე კარგი პასიც გაჩარხა, მაგრამ ანგარიშის გასათანაბრებლად შოტლანდიელებს ძალა და გამოცდილება აღარ ეყოთ.

**ვატა ხუციშვილი**

## შვედური სარუქარი სვენმა სამოგლობოდან მარცხი ნაიღო

**შვედეთი 1:0 ინგლისი**  
 1:0 იბრაჰიმოვიჩი (54)  
**შვედეთი:** ისაკსონი (კლშტედტი 46), ლუკიჩი, მელბერგი, მიალბი (პანსონი 46), ედმანი, ნილსონი, ა. სვენსონი (კალსტრიომი 46), იბრაჰიმოვიჩი (ოსტლუნდი 90), ა. ანდერსონი (ლინდეროტი 46), ელმანდერი (იონსონი 46), ვილჰელმსონი  
**ინგლისი:** ჯეიმსი, კარაგერი, ფ. ნევილი, ჯერარდი (ჯენასი 60), ტერი (გარდნერი 46), ვუდგეიტი (საუთგეიტი 46), პარგრიფი (ჯ. კოული 60), ბათი (პარკერი 78), რუნი (სმიტი 60), ვასელი (დეფო 12), ა. ტომპსონი (შესკი 60)  
 მსაჯე: ტომპინგ ოვრბო (ნორვეგია) 40 464 მაყურებელი



ჯერმენ დეფოს ანდერს ანდერსონი ფეხზე დააჭდა

ამ მატჩში რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა. შვედებს თითქმის სამი წლის განმავლობაში ამხანაგური მატჩი არ მოეგოთ. ბოლო თხუთმეტი შეხვედრიდან 9 ფრედ დაასრულეს, ინგლისამდე კი ზედიზედ ექვსჯერ დამარცხდნენ. სკანდინავიელებმა უიღბლო სერია თანამემამულე სვენ გორან ერიკსონის გაწვრთნილ გუნდთან შეწყვიტეს.

წლეულს შვედეთის ფეხბურთის ასოციაციას საუკუნოვანი იუბილე შეუსრულდა და მასპინძლებმა

ბრიტანელებთან ოქროსფერი მაისურებით ითამაშეს. ისიც სათქმელია, რომ ინგლისელებს უკვე 36 წელია, არ მოუგიათ შვედებისთვის.

სტივენ ჯერარდი აქამდე ნაკრების ერთგვარი თილისმა იყო. ინგლისელები დამარცხებულან იმ მატჩებში, რომლებშიც ლევერაპულელს უთამაშია, ამჯერად კი ეს ზღაპარიც დასრულდა.

სამმატჩოდ ერიკსონს დევიდ ბექემი არ ჰყავდა. შეტევაში მწვრთნელმა რუნი ვასელის წყვილი გაამწესა. „ასტონ ვილას“ ფორვარდი თანაკლებულ შვედს, მელბერგს შეეჯახა და მალე შეცვალეს. მის მაგივრად ჯერმენ დეფო შევიდა და მისი პირველივე მისი პასით უეინ რუნიმ კინადამ გაიტანა — ბურთი ტელს მოხვდა.

შეიღობრიანი მაისურით მოთამაშე ოუენ პარგრივსმა ბექემის არყოფნაში საჯარიმოს დარტყმა ითავა და ხარიხა შეაზანზარა.

მასპინძლები კი შორიდან დარტყმებით ცდილობდნენ სტუმარი მკარის შეწუხებას, მაგრამ ამაოდ.

შესვენების შემდეგაც ინგლისელები უფრო გამართულად უტევდნენ, თუმცა შეცვლაზე შესულმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კიმ კალსტრიომის პასით ბურთი ძირდაუშვებლად შეჭედა დევიდ ჯეიმსის კარში.

**ვატა ხუციშვილი**

**Крупнейшая российская букмекерская контора ФОН**

**Приглашает к сотрудничеству**

**Откройте контору в своем городе!**

Справки по телефонам:  
 +7 095 9045011; +7 095 9045018

Ставки и казино в интернете: [www.fonbet.info](http://www.fonbet.info)





# ახსანაგური მაჭიბი

## ნაბიჯი უკან მიხოლნიმ ბრავატონი გააცინა



პორტუგალიელთა მგაგრე რიკარდო სიმონე პეროტას ბურთი თავიდან ააცალა

**პორტუგალია 1:2 იტალია**  
1:0 ნუნუ ვალენტე (5), 1:1 ვიერი (40),  
1:2 მიკოლი (75)  
**პორტუგალია:** რიკარდო, მ. ფერეირა (რ. კარვალუ 77), ფ. კოუტუ (ბეტუ სევერუ 62), ფორფე ანდრადე, ნუნუ ვალენტე (ბოა მორტი 46), ფიგუ (მ. მონტირუ 73), კოშტინია, ტიაგუ მენდესი (დეკო სოუზა 46), რუი კოშტა (ნუნუ გომეში 73), სიმაო (კ. რონალდო 46), პაულეტა (პოსტიგა 60)  
**იტალია:** ბუფონი, პანუჩი (ოდო 57), ფერარი, ადანი, პანვარო (ფაფალი 46), ფიორე (კამორანეზი 60), გატუზო (ამბროზინი 46), პირლო (მეროტა 46), ნერვო (ბირინდელი 87), ტოტი (მიკოლი 46), ვიერი (კორადი 57)  
**მსაჯი:** ალი აიფინი (თურქეთი)  
20 000 მაყურებელი

პორტუგალიაში, კერძოდ ბრაგაში, სადაც ისე წვიმდა, ცა ლამის ჩამოიქცა, იტალიის ნაკრებმა ევრო 2004-ის მასპინძლებს 2:1 მოუგო და ამ გამარჯვებით გამხსნეველმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ თავი ერთხელაც იგრძნო მოახლოებული შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტად.

„ღღეს ჩვენ დაერწმუნდით, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენს ნაკრებში პირველ პოზიციებზე არ არიან, არანაკლებ მტკიცე ხასიათისანი გახლავან. მათგან შედგენილი „სკუადრა აბურაც“ ძლიერია“.

ანგარიში კი მასპინძლებმა გახსნეს. კერძოდ, ნუნუ ვალენტემ რუი კოშტას პასით იტალიელი ბოლო ხაზში გაჩენილი ნაპრალოთ ისარგებლა და ქომაგები გაახარა, მაგრამ მათ სამწუხაროდ, მატჩის შემდეგი ორი გოლი სტუმრებმა გაიტანეს. ჯერ იყო და, იტალიელთა შეტევის ფრთაზე დანიშნულ ჯარიმას საჯარიმოს გადაღმა, შორეული ძელის მიმდებარე ტერიტორიაზე კრისტიან ვიერიმ ღონიერი ნახტომით უწია და მცველს აჯობა, ხოლო შემდეგ, როდესაც „სკუადრა აბურაც“ უკვე საპირისპირო კარს უტევედა, კუთხური დაინიშნა და ფაბრიციო მიკოლიმ კუთხურიდან გაიტანა.

იტალიელთა შემადგენლობაში ყველაზე თვალმისაცემი სიახლე მილანელთან, ჯენარო გატუზოსა და ანდრეა პარლოსთან ერთად „ლა-

ციოს“ წვერის, სტეფანო ფიორეს გამოჩენა იყო.

„პირლო და ფიორე მატჩის დასაწყისში არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ჯერ ერთი, ჩვენ მათი შესაძლებლობები კარგად ვიცით და მეორეც, მათთვის ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი გამოცდა იყო“ — თქვა ტრაპატონიმ.

ზემოხსენებული მიკოლი კი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო და სწრაფი რეიდებით თუ ცრუმოდრაობებით, ტრაპატონის გადაწყვეტილება გაამართლა.

„მიკოლიმ დამარწმუნა, რომ ამ ტიპის რალაყების გამოყენებისთვისაც მზად ვართ — გაიღიმა მწვრთნელმა, — მართალია, მას რამდენიმე ეპიზოდში კარში უნდა და-

ერტყა, მაგრამ სამაგიეროდ, სხვა თვისებებით გამოირჩეოდა. მწვავე იყო და გავარდნაზე ჩასაფრებულ“.

შემდეგ დონ ტრაპატო ფავორიტებსა და ფავორიტობაზე ასე თქვა:

„პორტუგალიას მოახლოებული ჩემპიონატის ფავორიტად მიიჩნევენ. მართლაც, მათ კარგად ითამაშეს და ერთხელაც დაამტკიცეს, რომ ბურთის ფლობაში უზადონი არიან, თუმცა ვფიქრობ, ისიც გამოჩნდა, რომ არც ჩვენ ვართ აუტსაიდერები“.

შეხვედრაში აღსანიშნავი იყო კიდევ ერთი გარემოება. ვიერიმ პორტუგალიის ნაკრებისა და „ლაციოს“ მცველზე, ფერნანდო კოუტუზე გაიწია.

ტრაპატონი: „ვიერი იმიტომ გამოცვალებული, რომ კოუტუს ეჩხუბებოდა და თან ერთხელ უკვე იყო გაფრთხილებული. რომ არ გამერიდებინა, უარესი იქნებოდა, ის აშკარად გაძევების საფრთხის წინაშე იდგა. სხვა საქმეა, რომ ასეთი ზედმეტი აღზნება მხოლოდ იმის დასტურია, რომ მას ძალიან უნდა იტალიის ნაკრებში ადგილის დამკვიდრება“.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში „სკუადრა აბურაც“ ჯანლუიჯი ბუფონი კაპიტნობდა.

ბუფონი: „ჩემი, როგორც კაპიტნის დებუტი სამწუხაროდ, იმით დაიწყო, რომ გოლი გამიტანეს, მაგრამ რაკილა კარგად ვიყავით მონათულნი, საბოლოოდ მოვიგეთ.“

# მს მოხდა დუგლინუში ხინმა ჩახეთი მეოცე სერიისა ჩაჭრა

**ირლანდია 2:1 ჩახეთი**  
1:0 პარტი (52), 1:1 ბაროში (81), 2:1 კინი (90)  
**ირლანდია:** გივინი (კენი 82), მაიბერი, პარტი, კანინგემი, დოპერტი (ლ. მილერი 70), პოლანდი, დაფი (კინსელა 46), რიდი (დელაპი 66), მორისონი (ლი 76), კინი, კილბინი  
**ჩახეთი:** ჩეზი (ვანიაკი 46), ფორანგი (პლასილი 69), უიფალუში, ბოლფი (როზენალი 58), იანვულოვსკი, სიონტო (პაინი 46), გლაშეკი, ნეფედი (სტაინერი 46), ტისი, კოლერი (ლოკენი 46), ბაროში (ფორიშევი 84)  
**მსაჯი:** კრუდერიკ ფისკერი (დანია)  
42 000 მაყურებელი

ევრო 2004-ს გარეთ დარჩენილმა „მწვანეებმა“ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადება გამარჯვებით დაიწყეს. „დაცვაშიც კარგად ვითამაშეთ და სიმწვავე შეტევაშიც არ გვაკლდა. ქულებისთვის არ იყო თამაში, მაგრამ მთავარია, რომ გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და მოიგო“ — თქვა ირლანდიელთა მწვრთნელმა ბრაიან კერმა.

მეტოქეებს პირველ ტაიმში თანაბრად საგოლე მომენტები ჰქონდა. რენე ბოლფის თავით დარტყმული ბურთი მასპინძელმა მცველმა კარიდან გამოიტანა. თავის მხრივ, რომი კინსაც შეეძლო გატანა, მა-



იან პარტის საგოლე საჭარბო

გრამ ხელსაყრელ პოზიციებში მყოფმა ბურთი ვერ მოარჯულა.

სამაგიეროდ, ფეხი არ აჰკანკალებია იან პარტს. მან პეტერ ჩეზს ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოდან გაუტანა.

პარტმა თავის კართანაც იყოჩაღა. რომან ტისის დარტყმული ხაზიდან გამოიტანა.

მილან ბაროშმა მეორე ტაიმში გაათანაბრა. ჩეზი ფორვარდი მასპინძლებმა წამით უყურადღებოდ დატოვეს და მანაც ზუსტად დაჰკრა.

მატჩის მიწურულს რომი კინმა ნახევარმომენტი თავის ნიჭისა და მონდომების ხარჯზე გოლად აქცია. მწვრთნელმა კი შეაქო, ისეთი

მგონი, ჩვენს გუნდს ევრო 2004-ზე ძლიერად თამაში აშკარად შეუძლია, მით უფრო შეეძლება თუ დღევანდელი მენტალიტეტის შენარჩუნებას მოვახერხებთ და ყველა სიტუაციაში ინიციატივისა და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ“.

ჯენარო გატუზო: „ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან საკუთარი ძალების რწმენას გვინერგავს. სასიამოვნო იყო რუი კოშტას წინააღმდეგ თამაშიც. მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთმანეთს ვეხუმრებოდით. ასეთი რამ ხშირად არ ხდება“.

აღსანიშნავია, რომ გატუზო იტალიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდება და, როგორც ამბობენ, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე ის საერთოდ არ ათამაშონ, რადგან ტრაპატონის კრისტალო ძანეტი და სიმონე პეროტა ურჩევენია.

„ძანეტის და პეროტას დიდ პატივს ვცემ, ასე რომ, თუ მეტყვიან, ევროპის ჩემპიონატზე წავიყვანთ, მაგრამ არ გათამაშებთო, უთუოდ დავეპაულები. დიდი ხანია, იტალიას დიდი ტიტული არ მოუგია და ოღონდ მოიგოს, მზად ვარ, ჩემს სურვილებზე უარი ვთქვა“ — დასძინა გატუზომ.

პორტუგალიელთა მწვრთნელი, ლუიშ ფელიპე სკოლარი კი შეხვედრითა და შედეგით, ბუნებრივია, უკმაყოფილო იყო:

„ეს გახლდათ ნაბიჯი უკან. სერიოზული პრობლემები დავინახეთ. იტალიელთა მეორე გოლი ჩვენი უყურადღებობის შედეგი გახლდათ, ხოლო მათმა ოსტატობამ გადაწყვეტი როლი ითამაშა. დაახლოებით 30-ე წუთამდე კმაყოფილი გახლდით, მაგრამ შემდეგ ჩვენი კურსი დაიკარგა და მეტოქეს ხელფეხი გაუვსენით. ახლა, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მომზადება გვჭირდება. ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა ირწმუნონ, რომ მათ გამარჯვება შეუძლიათ. საჭიროა გუნდმა შემდეგი თამაშის მოსაგებად სტიმული გამოიძებნოს“.

აპაუნა კედი



# საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატი

## აიაქსის მემსა

